11095/3-2/21 2 11112021

11095/3-2/21
11-11-2021

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის148-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია უწყებათშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორის“ (2017-2020 წლებში) უწყებათშორის პროცესის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების და მათი შესრულების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

MOD 5 21 01257715

01/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი მიმდინარე წლის 11 ნოემბრის №11095/3-2/21 (რეგისტრაციის №1183522) წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორის“ უწყებათაშორისი კოორდინაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების შესახებ (2017-2021 წლები):

- სწავლება „დიდგორის" ეროვნულ-სტრატეგიული დონისა და მასში სხვა სახელმწიფო უწყებების მასშტაბური ჩართულობის გათვალისწინებით, შემუშავდა რეკომენდაცია, შემდგომი სწავლებების საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე ჩატარების თაობაზე. სწავლებაში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა. შესაბამისად, სწავლება „დიდგორი 2021“ ჩატარდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 აგვისტოს №1364 განკარგულების საფუძველზე. (სწავლება „დიდგორი 2020“ ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო გადავადდა და ჩატარდა 2021 წელს).

- სწავლებაში უწყებების ჩართულობის გაუმჯობესებისა და უკეთესი კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, წინა წლების სწავლებებიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ჩართვა სწავლების დაგეგმვის, ასევე მოვლენებისა და ინციდენტების შემუშავების პროცესის საწყისი ეტაპიდან. განსაზღვრული იქნა საგანგებო/საომარ მდგომარეობებზე მორეაგირე უსაფრთხოების საბჭოს და ამავე საბჭოსთან არსებული კრიზისების მართვის უწყებათაშორისი ცენტრის, ასევე გენერალური შტაბის მეკავშირეების და მოპასუხე ელემენტების ყველა შესაბამისი კომპონენტი და მოხდა მათი შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტება. ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითი ეფექტი იქონია ინფორმაციის დროული მიმოცვლისა და კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

- სწავლების ელემენტების დახვეწის უზრუნველსაყოფად ,,დიდგორი 2021"-ის ფორმატში პირველად, სამეთაურო-საშტაბო კომპონენტში გაიხსნა ეროვნული კიბერუსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების უწყებათაშორისი ცენტრები, ამასთან, გათამაშდა საველე სიტუაციური კომპონენტი ძალების მიზიდვით, სადაც მჭიდრო უწყებათაშორისი

შტამპდასმულია
ელექტრონულად

კოორდინაციის საფუძველზე, თავდაცვის ძალების დანაყოფებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაქტიკურ ელემენტებთან ერთად დახვეწეს საველე ტაქტიკური ამოცანების შესრულების ერთობლივი პროცედურები. ასევე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან კოორდინაციით რეალურ რეჟიმში განხორციელდა რეზერვის გამოძახების და მათი გადამზადების საველე პრაქტიკული ღონისძიებები.

- რაც შეეხება სწავლების წინამოსამზადებელი პერიოდის ეფექტური ორგანიზების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, თავდაცვის ძალებისა და სხვადასხვა უწყებების მეკავშირე ოფიცრებთან ჩატარდა სემინარები, საბაზისო და ძირითადი ლიდერების წვრთნები (KLT), რა დროსაც დაიხვეწა ურთიერთკოორდინაციის საკითხები, როგორიცაა ინფორმაციის მართვისა და კრიზისზე რეაგირების ერთობლივი პროცედურები. აღნიშნული სწავლების პერიოდში პირველად მოხდა როგორც სარდლობების მართვის პუნქტების სხვადასხვა სასწავლო რაიონებში გაშლა, აგრეთვე თავდაცვის ძალების ახალი მართვისა და კონტროლის პროგრამული უზრუნველყოფის (hc2 command) სისტემის გამოყენება, რამაც განაპირობა საერთო ოპერატიული სურათის დროული მიღება და სახელმწიფო უწყებებში მათი გავრცელების საშუალება.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე